



N 29, 2021

# სარჩევი

ნავთობი და გაზი .....	2
ილჰამ ალიევი ევროპაში აზერბაიჯანული გაზის მიწოდების ზრდას პროგნოზირებს .....	2
ჩრდილოეთ მაკედონია TAP-ს უერთდება .....	2
ელექტროენერგეტიკა.....	3
მზისა და ქარის ენერჯის მოხმარება რეკორდული სიჩქარით იზრდება.....	3
„ელგრინი“ 2021 წლის პირველ 6 თვეში აზერბაიჯანიდან განხორციელებული ელექტროენერჯის იმპორტს აჯამებს .....	3
განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა.....	4
USAID-ი საქართველოში ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის \$15.7 მლნ-იან პროგრამას იწყებს .....	4
კომპანია Solar Cloth-ის მოქნილ ფოტოელექტრულ ქსოვილს გამოიყენებენ ტრანსპორტისთვის .....	4
კლიმატის ცვლილება.....	5
თურქეთის სანაპირო დაიფარა ე.წ. „ზღვის ლორწოთი“.....	5
მსოფლიოში პირველი გემი ნულოვანი გამონაბოლქვით.....	6
პუბლიკაციები.....	6
დონისძიებები.....	7

## ნავთობი და გაზი

### ილჰამ ალიევი ევროპაში აზერბაიჯანული გაზის მიწოდების ზრდას პროგნოზირებს

აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ექსპორტის მოცულობა ევროპულ ბაზარზე გაიზრდება, განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ევროსაბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.

აზერბაიჯანის სახელმწიფოს მეთაურის სიტყვებით, სამხრეთ გაზის დერეფნის (SGC) პროექტის დასრულება ისტორიულად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო – იუწყება “ინტერფაქს-აზერბაიჯანი”.

იტალიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში მცხოვრები მოსახლეობის აზერბაიჯანული გაზით მომარაგება, ტრანს-ადრიატიკული გაზსადენის (TAP) მეშვეობით, 2020 წლის 31 დეკემბერს დაიწყო. TAP გაზსადენი SGC-ს ნაწილია, რომელიც 38 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის მიწოდების წლიური მოცულობა ევროპაში დაახლოებით 10 მილიარდი კუბური მეტრითაა განსაზღვრული. გარდა ამისა, წელიწადში 6 მილიარდი კუბური მეტრი აზერბაიჯანული გაზი არის გათვლილი თურქეთის დასავლეთ რეგიონების მომარაგებისთვის.

<https://cutt.ly/xm6EgK3>

### ჩრდილოეთ მაკედონია TAP-ს უერთდება

საბერძნეთისა და ჩრდილოეთ მაკედონიის მთავრობები ახალი გაზსადენის მშენებლობაზე შეთანხმდნენ, რომელიც ტრანს-ადრიატიკის გაზსადენს (TAP) შეუერთდება.

ჩრდილოეთ მაკედონიის მედიის ცნობით, ქვეყნის ეკონომიკის მინისტრმა, კრემნიკ ბექტაშმა ათენში ხელი მოაწერა გაზის მილსადენის შესახებ შეთანხმებას.

”ეს არის დიდი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისკენ და ხელს შეუწყობს ბუნებრივი გაზის მარაგების დივერსიფიკაციას,” – აღნიშნა მინისტრმა.

საბერძნეთთან გაზსადენის მშენებლობის შემდეგ ჩრდილოეთ მაკედონიას TAP-ით აზერბაიჯანული ბუნებრივი გაზის მიღება შეეძლება.

საბერძნეთის გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მინისტრმა კოსას სკრეკასმა განაცხადა, რომ დაგეგმილი ქსელი დააკავშირებს ორივე ქვეყნის ბუნებრივი გაზის სისტემებს და ამ პროცესს ეკონომიკური სტიმულირების წყაროს შესძენს.

გაზსადენის მშენებლობის პროექტის ღირებულება 110 მილიონი ევროა.

ახალი მილსადენის მთლიანი სიგრძე 160 კმ იქნება, საიდანაც 50 კმ გაივლის საბერძნეთში. გაზსადენი სალონიკის ნეა მესიმრიას რეგიონში დაიწყება და დასრულდება შტიპაში, ჩრდილოეთ მაკედონიიდან 110 კმ-ში. მილსადენი შეუერთდება ტრანს-ადრიატიკის მილსადენს, რომელიც გაზს ატარებს შუა აზიიდან თურქეთის, საბერძნეთისა და ალბანეთის გავლით სამხრეთ იტალიაში.

<https://cutt.ly/xm6Ed1N>

## ელექტროენერგეტიკა

### მზისა და ქარის ენერჯის მოხმარება რეკორდული სიჩქარით იზრდება

ნავთობისა და გაზის მულტინაციონალური კომპანია British Petroleum- (BP)-ის ახალი კვლევის თანახმად, 2020 წელს პანდემიის შედეგად მსოფლიოში ზოგადდენერჯის მოხმარების შემცირებისა და ნავთობზე მოთხოვნის ისტორიული ვარდნის ფონზე, მზისა და ქარის ენერჯის მოხმარება რეკორდული სიჩქარით გაიზარდა.

გასული წლის განმავლობაში მსოფლიოში მზის ენერჯის მოხმარება – 22%-ით, ხოლო ქარის ენერჯის 18%-ით გაიზარდა. მას შემდეგ, რაც BP-მ 70 წლის წინ მსოფლიო ენერჯის მოხმარების სტატისტიკური კვლევების გამოქვეყნება დაიწყო, წელს განახლებადი ენერჯის მოხმარების ზრდის ყველაზე მაღალი ტემპი დაფიქსირდა.

ზრდის მაღალი ტემპების მიუხედავად, განახლებადი ენერჯის, რომელიც მზისა და ქარის ენერჯის გარდა ბიომასისა და გეოთერმულ ენერჯიასაც გულისხმობს, წილი მთლიანად ენერჯის მოხმარებაში მხოლოდ 6 %-ია. ამასთანავე, ნავთობის მოხმარების წილი 31%-ია, ქვანახშირის – 27% და ბუნებრივი აირის – 25%. დანარჩენი ჰიდროენერჯიასა და ატომურ ენერჯიაზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ განახლებადი ენერჯის მოხმარება ძირითადად ჩინეთის ხარჯზე გაიზარდა, რომელზეც მზისა და ქარის ენერჯის მოხმარების გლობალური ზრდის დაახლოებით ნახევარი მოდის.

<https://cutt.ly/Vm6EaLZ>

### „ელგრინი“ 2021 წლის პირველ 6 თვეში აზერბაიჯანიდან განხორციელებული ელექტროენერჯის იმპორტს აჯამებს

ენერჯეტიკული კომპანის ინფორმაციით, 2021 წლის იანვარში აზერბაიჯანიდან 151.8 მლნ კვტ/სთ. ელექტროენერჯის იმპორტი განხორციელდა.

ამის შესახებ ნათქვამია „ელგრინის“ პრესრელიზში, რომელიც 2021 წლის პირველ 6 თვეში საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობების და ტარიფების შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 2021 წლის იანვარში აზერბაიჯანიდან 151.8 მლნ კვტ/სთ-ის იმპორტი განხორციელდა. აქედან 104.3 მლნ კვტ/სთ ესკომ "ელ გრინთან" დადებული კონტრაქტის საფუძველზე შეისყიდა და ფასები შემდეგნაირად განისაზღვრა: უქმეებზე - 3.9 ცენტი, ღამის საათებში - 3.9 ცენტი და დღის და საღამოს, 14 საათის განმავლობაში – 5.4 ცენტი.

თებერვალში აზერბაიჯანიდან 148.8 მილიონი კილოვატ/საათის იმპორტი შედგა და ფასი, როგორც დღის, ისე ღამის და უქმე დღეების შემთხვევაში იყო სტაბილური 4,4 ცენტი.

რაც შეეხება მარტს, „ელგრინის“ მიერ მარტში აზერბაიჯანიდან განხორციელებული იმპორტის მოცულობამ 191.1 მილიონი კილოვატ/საათი შეადგინა. 1-15 მარტის პერიოდში ფასი თებერვლის ანალოგიურად სტაბილური 4,4 ცენტით იყო განსაზღვრული. 15-31 მარტის პერიოდში კი 3.9/3.9/6.5 (ღამე, უქმე, დღე) ცენტით განისაზღვრა.

აპრილში აზერბაიჯანიდან 36.2 მილიონი კილოვატ/საათის იმპორტი განხორციელდა. აქედან 23.1 მილიონი კილოვატ/საათი „ელგრინმა“ ესკოს 3.9/3.9/6.9 ცენტად მიაწოდა, ხოლო 13.1 მილიონი კილოვატ/საათის მიწოდებაზე გარიგება პირდაპირ მომხმარებლებთან შედგა.

რაც შეეხება მაის-ივნისის პერიოდს, აზერბაიჯანიდან საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტი არ განხორციელებულა.

როგორც პრეს-რელიზშია აღნიშნული, იმპორტის ყველა შემთხვევისას, ესკოს არჩევანი აზერბაიჯანული ენერჯის შესყიდვაზე, მისი ყველაზე იაფი ფასიდან გამომდინარეობდა.

ინფორმაციისთვის, „ელგრინი“ პირველი ენერგეტიკული კომპანიაა, რომელიც საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტის საკონტრაქტო ფასს ასაჯაროებს.

<https://cutt.ly/pm6ErQc>

## განახლებადი ენერჯია და ენერგოეფექტურობა

### USAID-ი საქართველოში ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის \$15.7 მლნ-იან პროგრამას იწყებს

საქართველოში USAID ახალ პროგრამას იწყებს.

ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის \$15.7 მლნ-იანი პროგრამა საქართველოს საკუთარი ენერგორესურსების დივერსიფიკაციაში დაეხმარება.

გარდა ამისა, 5-წლიანი პროგრამა კერძო ინვესტორებისთვის მიმზიდველი, მოქნილი, კომპეტენტური და გამჭვირვალე ბაზრის შექმნაში ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა ოფიციალურად გორის ქარის სადგურზე 28 ივლისს, 11:00 საათზე გაიხსნება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ აშშ-ს ელჩი საქართველოში კელი დეგნანი და ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა.

<https://cutt.ly/Em6W6Qc>

### კომპანია Solar Cloth-ის მოქნილ ფოტოელექტრულ ქსოვილს გამოიყენებენ ტრანსპორტისთვის

სტარტაპმა საფრანგეთიდან Solar Cloth შეიმუშავა ახალი ტიპის „მზის“ ქსოვილი, რომელიც გამოყენებული იქნება ავტომობილებში საბორტო ელექტრობის უზრუნველსაყოფად, და ერთ-ერთი პირველი შემკვეთი გახდა ფრანგული Renault Trucks.

ფრანგული კომპანია აცხადებს, რომ ავტომობილში ინტეგრირებული ფოტოელექტრული ელემენტები (VIPV), გახდება მდგრადი მობილობის მთავარი კომპონენტი.

ბოლო ორი წლის განმავლობაში კომპანიამ დაძლია ტექნიკური პრობლემების მთელი რიგი, VIPV-ის ეფექტური გამოყენებისათვის საავტომობილო და საზღვაო ტრანსპორტში.

Solar Cloth აერთიანებს თხელ ფირებს ეკოლოგიურად სუფთა თერმული შედნობის საშუალებით, გამხსნელების გამოყენების გარეშე. კომპანიას ფოტოელექტრული ქსოვილის გამოყენებით შეუძლია აწარმოოს სარბოლო იახტების აფრებიც კი, რომლებიც ამასთან არის მსუბუქი და „არადეფორმირებადი“.

Solar Cloth „მზის“ ქსოვილს ამზადებს სპილენძის, ინდიუმის, გალიუმის და სელენიდის ფირებისგან (CIGS) და ამორფული კაჟისა და გერმანიუმისგან (aSiGe), რომლებიც მოთავსებულია მოქნილ სტრუქტურირებულ ტექსტილში.

<https://cutt.ly/jm6W1UX>

## კლიმატის ცვლილება

### თურქეთის სანაპირო დაიფარა ე.წ. „ზღვის ლორწოთი“.

გლობალური დათბობის გამო წყალში ლორწოს მსგავსი ნივთიერების მომატება საფრთხეს უქმნის მარჯანს და თევზჭერის ინდუსტრიას.

ახლოდან ეს ნივთიერება ჰგავს კრემისფერ, ჟელატინის საბანს, რომელიც გადაფარებულია ზღვაზე. მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ნივთიერება, რომელიც ცნობილია, როგორც ზღვის ლორწო, მისი რაოდენობა მუდმივად იზრდება და შესაძლოა გადაფაროს ზღვის ათასობით კვადრატული კილომეტრი.



2007 წლამდე ეს ლორწოს მაგვარი ნივთიერება არ დაფიქსირებულა თურქეთის წყლებში. იგი წარმოიქმნება ხანგძლივი თბილი ტემპერატურის, მშვიდი ამინდის და წყალში უხვი საკვებ ნივთიერებების შედეგად.

ძირითად შემთხვევაში ეს ნივთიერება არ არის მავნე. რასაც ვხედავთ ძირითადად ცილების, ნახშირწყლებისა და ცხიმების კომბინაციაა, მაგრამ წებოვანი ნივთიერება იზიდავს

ვირუსებსა და ბაქტერიებს და ეს დაბინძურებული საბანი ახშობს ზღვის წყალქვეშა ცხოვრებას.

კლიმატის ცვლილებების მიმართ ზღვა სხვანაირად რეაგირებს, უფრო გამთბარი წყალი და მომატებული საკვები ნარჩენი წარმოქმის სწორედ ლორწოვან ნივთიერებას, რომელიც პირველ რიგში საფრთხეს უქმის ზღვის ცხოვრებას, საბანივით გადაფარებული ლორწოვანი ნივთიერება არ ატარებს ჟანგბადს და მის ქვეშ მოქცეული ცოცხალი ორგანიზმები იღუპებიან. დაფიქსირებულია უკვე ათასეულობით მკვდარი თევზი და მარჯანი.

<https://bit.ly/3pKnpXH>

## მსოფლიოში პირველი გემი ნულოვანი გამონაბოლქვით

ნორვეგიული კომპანია Yara Birkeland გეგმავს პროექტს, რომლის ფარგლებშიც შექმნიან მსოფლიოში პირველ სრულად ელექტრო და ავტონომიური გადაზიდვის ნულოვანი გამონაბოლქვით. ამ გემით Yara შეამცირებს დიზელზე მომუშავე სატვირთო მანქანების გადაზიდვას წელიწადში 40,000 მოგზაურობით.



პროექტი მუშავდება ისე, რომ შეიქმნას სტრუქტურა, რომლის მეშვეობითაც ტვირთი სატრანსპორტო გზიდან პირდაპირ ზღვაში გადადიოდეს, რის შედეგადაც შემცირდება ხმაური და მტვერი, გაუმჯობესდება ადგილობრივი გზების უსაფრთხოება და მნიშვნელოვნად შემცირდება NOx და CO2-ს ემისიები.

ეს ახალი ნულოვანი ემისიის ხომალდი იქნება წინ გადადგმული ნაბიჯი გლობალური საზღვაო ტრანსპორტისთვის.

<https://bit.ly/3csPsW3>

## პუბლიკაციები

საერთაშორისო ენერგეტიკული ქარტიის სამდივნომ გამოაქვეყნა [2020 წლის მე-4 კვარტალური საინფორმაციო ბიულეტენი](#)

განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს (IRENA) ახალი ანგარიში [Global Renewables Outlook 2050](#)

წარმოგიდგენთ პროფ. თეიმურაზ გოჩიტაშვილის ახლახან გამოქვეყნებულ ინგლისურ ენოვან მონოგრაფიას [„საქართველოს ნავთობისა და გაზის სექტორი გარდამავალ პერიოდში“](#)

## ღონისძიებები

### **მე-3 ევროპული კონფერენცია და გამოფენა - Biogas PowerON 2021**

თარიღი: 1-2 სექტემბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

<https://cutt.ly/tvmpeeF>

### **ICSD 2021 : მე-9 საერთაშორისო კონფერენცია მდგრადი განვითარების საკითხებზე**

თარიღი: 08–09 სექტემბერი, 2021

ადგილი: რომი, იტალია

თემები: კლიმატი, განახლებადი ენერჯია, წყლის და ნიადაგის კონსერვაცია

<https://www.eceee.org/events/calendar/event/icsd-2021-9th-international-conference-on-sustainable-development-8-9-september-2021-rome-italy-1/>

### **მე-3 ევროპული კონფერენცია - Future of Biofuels 2021**

თარიღი: 5-6 15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: კოპენჰაგენი, დანია

[https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021\\_4,en,2,1,13.html](https://fortesmedia.com/future-of-biofuels-2021_4,en,2,1,13.html)

### **მე-16 კონფერენცია ენერჯეტიკის, წყალმომარაგების და გარემოსდაცვითი სისტემების მდგრადი განვითარების (SDEWES) საკითხებზე**

თარიღი: 10-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: დუბროვნიკი, ხორვატია

Covid-19-ის სიტუაციის მიხედვით, კონფერენცია ჩატარდება ან ჰიბრიდულ, ან სრულად ონლაინ რეჟიმში.

<https://www.dubrovnik2021.sdewes.org/>

### **მე-14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ენერჯეტიკის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე**

თარიღი: 13-15 ოქტომბერი, 2021

ადგილი: ათენი, საბერძნეთი, ათენის ეროვნული უნივერსიტეტის შენობა “Kostis Palamas”

<https://promitheasconference.wordpress.com/>